ხელშეკრულება N30

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 12 ივლისი 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ჟორჟოლიანის სახით და მეორე მხრივ, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი სერვისის დირექტორის ალექსანდრე ხვედელიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორის მოადგილის მათე გაბიცინაშვილის 12 ივლისის N122/05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში, შემსყიდველის კუთვნილი ავტომობილისთვის (HYUNDAI ELANTRA სახელმწიფო ნომრით BVB 940) ავტოტექმომსახურების (**CPV 50112200**) შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად ;

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **664 (ექვსას სამოცდაოთხი) ლარი;**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ;

3.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა განახორციელოს **2018 წლის 12 ივლისიდან 2018 წლის 13 ივლისის ჩათვლით;**

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს;

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ ,,საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი"-ს ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (შესყიდვები) ქეთევან გელაშვილი;

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

<u>6.1 შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

<u>6.2 შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

<u>6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

<u>6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

მუხლი 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი - (მძღოლი) გიორგი მესხი;

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია განახორციელოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის კონტროლი. გამომოვლენილი ხარვეზის ან წუნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს შესყიდვის ობიექტის ღირებულების თანხა, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული შესყიდვის ობიექტის ღირებულების თანხა.

7.5 იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.25%-ის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

10.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური უბედურებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი მდგომარეობის და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 11. დავები და მათი გადაჭრის გზები

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით;**

მუხლი 13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს;

მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 202958255
მის: ვაჟა-ფშაველას 76ბ
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში: 302009921
სახაზინო კოდი: 32080201

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204478948
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ.
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომ: GE15TB1100000110467697

დირექტორი: ი. ჟორჟოლიანი

სერვისის დირექტორი: ა. ხვედელიძე

ფასების ცხრილი

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი	საერთო ფასი ლარი
1	სანთელი	ც	4	25.00	100.00
2	ბაბინა	ც	2	145.00	290.00
3	საწვავის ფილტრი	ც	1	85.00	85.00
4	წინა ფარის ნათურა	ც	2	27.00	54.00
5	უკანა სტოპის ნათურა	ც	1	5.00	5.00
	მომსახურება				
	სანთელის და ბაბინის შეცვლა			20.00	20.00
	საწვავის ფილტრის შეცვლა			50.00	50.00
	წინა ფარის ნათურის შეცვლა			20.00	20.00
	უკანა სტოპის ნათურის შეცვლა			10.00	10.00
	დროსელის გაწმენდა			30.00	30.00
	საერთო ჯამი დღგ-ს ჩათვლით:				664.00

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“

სერვისის დირექტორი: ა. ხვედელიძე